ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 188

„9" ივნისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №29ა-ს მიმდებარედ არსებული (ს/კ №01.10.15.012.029) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მოქ. დავით მანაგაძისთვის იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 27 მაისის №21.12.621 განკარგულებით გათვალისწინებული ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №29ა-ს მიმდებარედ არსებული (ს/კ №01.10.15.012.029) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მოქ. დავით მანაგაძისთვის იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 1200 ლარით, როგორც აღნიშნული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყის საპრივატიზებო საფასურად განხილული თანხის (16200 ლარის) არანაკლები 5 %.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი